1 იანვარი, 1908 წ

ფასი ყველგან 10 კ.

იუმორისტ. ჟურნალი




## † ანტონ გოგიაშვილი.



28 დეკემბერს, 12 დღის ავათმყოფობის შემდეგ, გარდაიცვალა ნიჭიერი მხატვარი და ამხანაგი ანტონ გოგიაშვილი.

კეთილი, წყნარი, [illegible]
მუშაკი დაუზარელი,
ბუნების მოსიყვარულე
და მისი შემამკობელი!

აი ანტონის ნიშნობლივი თვისებები!
ცრემლით გაგვითავდა ძველი, ისედაც შავ-ბნელი წელიწადი!

ღარიბმა მშობლებმა მხოლოდ სასულიერო სასწავლებელი დაასრულებიეს, ხოლო შემდეგი განვითარება ანტონმა თავისი საკუთარი მეცადინეობით შეიძინა. ხატვა ბავშვობიდანვე უყვარდა და მალე გამოიჩინა არაჩვეულებრივი ნიჭი.

ანტონი რომ სხვა პირობებში ჩავარდნილიყო ეჭვს გარეშეა მისი ნიჭი უფრო მძლავრად გაშლიდა ფრთებს, მაგრამ სიღარიბესთან ერთად ფიზიკურმა სისუსტემ ხელი შეუშალა ბუნებრივი ნიჭის სასურველ განვითარებას. ფილტვების სისუსტისა გამო ზაფხულობით დროს სხვადასხვა აგარაკებში ატარებდა, უმთავრესათ ბახმაროში, (გურიაშია) სადაც ბუნების აუწერელი მშვენიერება უფრო და უფრო უძვირადებდა მხატვრობის სიყვარულს.

პირველი მისი სურათები იბეჭდებოდა „ცნობის ფურცლის“ სურათებიან დამატებებში და უნებლიეთ იპყრობდა მკითხველის ყურადღებას.

ბოლო წლებში, ბ-ნი ჯაბადარის წინადადებით, ანტონი მოგზაურობდა საქართველოს სხვადასხვა პროვინციებში, სადაც სწავლობდა ადგილობრივ მკვიდრთა ყოფა-ცხოვრებასა და ზნე-ჩვეულებებს. ამ მიზნით მან მოიარა გურია, სამეგრელო, აფხაზეთი, აჭარა, ქართლ-კახეთი და შეაგროვა დიდ-ძალი მასალა. რომელიც ამჟამად ბ-ნ ჯაბადარს ეკუთვნის.

მომავალ გაზაფხულზე ანტონი ეპირებოდა თუშეთისა და ფშავ-ხევსურეთის მოვლას, რომ დაემთავრებია დასახული მიზანი, მაგრამ შეუბრალებელმა სიკვდილმა უდროოდ გამოგვგლიჯა ხელიდან ძვირფასი მუშაკი.

ანტონის სურათების უმეტესი ნაწილი შეეხება ჩვენი სოფლის ცხოვრებას. მათში აღნუსხულია ათასგვარი ზნე-ჩვეულებანი, მეურნეობის წეს-რიგი და მრავალი სხვა. ანტონი ეპირებოდა აგრეთვე დაეხატა სურათები სახალხო მოძრაობიდან, რომლის მოწამე და გატაცებული მომხრე იყო თითონაც.

კერძო ცხოვრებაში ანტონი იყო ბროლივით წმინდა, საყვარელი და იშვიათი საამხანაგო ადამიანი.

მშვიდობით საყვარელო ამხანაგო! [illegible] მარადის ცოცხალი იქნება იმათ ხსოვნაში, [illegible] გაუცვნია შენი სპეტაკი გული.

F/c 11259

Библиотека при ЦК ВКП(б)

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საახალწლო.

## სიზმარი „რედაქტორისა“

,,უმადური შრომისაგან'' დაქანცულ რედაქტორ უზნეურიძეს უსიამოვნოთ ეძინა. მწარე ფიქრი ჩაჰყვა ძილში და მოსვენება შეუკრთო. რაც ახალი ნაბიჯი, იმდენი უკან დაწევა, იმდენი და ქვეითება კარგ მომავალს არ უქადიდა და შფოთავდა რედაქტორი უზნეურიძე.

რა ღონის-ძიებას არ მიმართა, რა ხრიკები არ მოიგონა, მაგრამ დაქანებული საქმის წამოყენება შეუძლებელი გახდა.

უცებ გაიღო კარები და აღელვებული ტიკჭორაშვილი ოთახში შემოიჭრა. შუბლზე ოფლის ხვითქი გადასდიოდა.

— საზარელი ამბავი, საზარელი ამბავი ბ-ნო რედაქტორო.

— ე, ე, ე, დიეხ, რა იყო? რა მოხდა, რა ამბავია? არეულათ და შეშინებული კილოთი შეეკითხა რედაქტორი.

— როვორ რა იყო, ნუ თუ არ გაგიგიათ, მეორე მეხი დაატყდა ჩვენს სამშობლოს, მეორე მეხი. ჩვენი ძვირფასი თანამშრომელი რუმბიძე აღარა გვყავს, გესმით აღარა გვყავს, ე. ი. დაგვეკარგა.

— ე-ე-ე, დიეხ, როგორაო? რა ამბავია! ვინ დაგვეკარგა, რა იყო?

— როგორ ვერ გაიგეთ, თქვე დალოცვილო, პოეტი რომ იყო საქართველოსი, რუმბიძე, აი გუშინ რომ ერთად ვსვამდით არშაკას პადვალში, როგორ დაგავიწყდათ.

— მესმის, მესმის, დიეხ, რუმბიძე, დიეხ, მეს მის... მერე? რა იყო, რა მოხდა?

— თქვე დალოცვილო რა იყო და აღარა გვყავს, საქართველოს მზე ჩაესვენა, რუმბიძე მოკლეს.

— რაო? რა თქვი? როგორაო? მოკვდა? არა, ეგ შეუძლებელია, ღმერთო ჩემო! ნუ თუ! ვინ გამოგვჭრა ყელი, ვინ დაგვასხა თავზე ლაფი! მითხარი ტიკჭორაშვილო, როგორ მოკვდა? ჩვეულებრივათ?

— არა ბ-ნო ტრაღიკულათ; ქვეყანამ დაინახა რომ ტრაღიკულათ...

— რაო? რა სთქვი? როგორაო? თუ მართლა ტრაღიკულათ მოკლეს ეს კიდევ არაფერია. როგორ გგონია ტიკჭორავ, ნომერი აიწევს?

— რას მიბრძანებთ ბ-ნო, უთუოდ აიწევს, ხუმრობა კაცი ხომ არ იყო!

— რაო? როგორაო? აიწევს, არა? მაშ გასწი ჩემო ტიკჭორავ სურათი, მისი სურათი! ეხლავ მიიტანე მხატვართან, უთხარი დაფნის გვირგვინი გაუკეთოს გარშემო, ისე დახატოს.

ტიკჭორა გარბის ქუდ მოგლეჯილი, მაგრამ რედაქტორი უზნეურიძე კარებში შეაჩერებს.

— მოიცა, შესდექ შე უბადრუკო! შენ ხომ არ გითქვამს ვინ მოკლა, როგორ მოკლა ჩვენი მზე, ჩვენი სიქადული, ჩვენი მგოსანი რუმბიძე! რაო? შენით ვერ მეტყოდი?!

— კარგათ არ ვიცი ბატონო, მაგრამ მოგახსენებენ ნინიას პადვალში ცოტა გადაეკრა და მერძევე ქალებს ასტორღიალებოდა.

— რაო? როგორაო? მერძევე ქალებს? ვინ არიან მერძევე ქალები? სოც.-დემოკრატები არიან ხომ?

— არ ვიცი ბ-ნო, მაგრამ მოგახსენებენ ს. დ. უნდა იყვნენო, მალაკნის ქალები არიან. მუშა ქალები მა რა ჯანაბა იქნებიან. ჯერ კონკაზე არ მოასვენა თურმე და როცა ქალები გადმოხტენ, რუმბიძეც თან გადმოჰყვა. აქ იდროვეს ბოროტგანმზრახველებმა და სარძევე თუნგებით ვირის ცემა აალებინეს.

— რაო? როგორაო? შესდექ შე უბადრუკო! განა შეიძლება ჩვენი მზე, სამშობლოს ზეცის მგოსანი ვირს შეადარო? დიეხ, განა ეს შეიძლება?!

— რა მოგახსენოთ ბ-ნო, მაგრამ იმ ქალებმა ძალზე სცემეს, იმდენი სცემეს, რომ გვემული ხორცი საქართველოს მგოსნისა ვერ აღსდგა და დილის ქუჩის პირად უპოვიათ დვორნიკებს გაშეშებული.

— შესდექ ტიკჭორავ! რაო? რა სთქვი შე უბადრუკო? იმისი ხორცი მოჰკლეს სამშობლოს მოღალატეებმა, მაგრამ შარავანდედით მოსილი სული აი იქ ღრუბლებიდან გადმოგვყურებს საოცნებო ქნარით ხელში. ახლა კი გასწი! გუდიაშვილს უთხარი: მოწინავეს მე ვწერამ და იმან ერთი ლექსი გამოაცხოს. გასწი! ისიც შემიტყვე რუმბიძეს რომელი ლექსი დაუწერია. გასწი შე უბადრუკო!

ტიკჭორა სჭრაფათ გავიდა და მარტოთ დარჩენილი რედაქტორი უზნეურიძე საწერ მაგიდას მიუჯდა. ათასგვარი აზრები უქროდა თავში და ვერც ერთს ვერ გადმოეხეთქა მწყობრათ და დალაგებით. უნდოდა დაეწერა რაიმე ამაღელვებელი, ცრემლების მომგვრელი, მაგრამ ვერ მოეხერხებია, რადგან ნომრების აწევის მოლოდინი ყველაფერს ავიწყებდა. ვიწრო და გრძელი ქაღალდები ერთი მეორეზე მიცვივოდა დაჭმუჭნული და დასრესილი სარედაქციო კალათში, ხოლო დაწერით კი არაფერი იწერებოდა.

უზნეურიძემ საჩქაროდ მოისხა თავისი ფრთებიანი წამოსასხამი, ცხვირზე ,,აჩკები'' დაისკუპა და თვალზე ცრემლ-მორეული გაექანა რუმბიძის ოჯახისაკენ, სადაც მას დიდის მოკრძალებით დაუხვდა განსვენებულის დამწუხრებული სახლობა.

გარეშე ხალხიც აუარებელი ირეოდა ეზოში ჩამოსულიყვენ დეპუტაციები ქართლიდან, კახეთიდან თუშ-ფშავ-ხევსურეთიდან, ქიზიყიდან საინგილოდან რაჭა-ლეჩხუმიდან, აფხაზეთიდან, შავშეთ-ერუშეთიდან, აჭარა-ქობულეთიდან, რაჭიდან, სვანეთიდან, სამეგრელოდან, გურიიდან იმერეთიდან ჯავახეთიდან და საქართველოს სხვა კუთხეებიდანაც. ყველა თავის ჯერს ელოდა, რომ უკანასკნელათ გამოსთხოვებოდა საყვარელი ადამიანის გვამს. იმედ მოცემული და გატაცებული რედაქტორი უცებ შედგა სკამზე და მჭექარე ხმით დაიგრიალა: ,,ბატონებო! ხედავთ? აი ეს არის გვამი ჩვენი ძვირფასი მგოსნისა. ჩვენს ქვეყანაში გაჩნდა ერთგვარი მიმართულება... (ხალხში ქვითინი გაისმა) რაო? რას ამბობთ? დიეხ, გაჩნდა ერთგვარი მიმართულება. დიეხ... და აი ეს მეორე მსხვერპლია სამშობლოს საკურთხეველზე. ქართველო ხალხო! დახედეთ ამას, იტირეთ ძმებო და იძიეთ შური... ვინ გამოგვჭრა ყელი, ვინ დაგვასხა თავს ლაფი, ვაიმე... ვაიმე...

— რა გაღრიალებს ეი, ტყეში ხომ არა ხარ? ქუჩაში ისმის: ადეგ მამა გიცხონდება თორემ ნომერი აღარ მოესწრება

თქვენ უნდა გენახათ შეშინებული და შერცხვენილი სახე რედაქტორი უზნეურიძისა, როდესაც მის სარეცელთან დაინახა მგოსანი რუმბიძე, რომელიც მას აღვიძებდა.

**ეშმაკი.**



*
* *

ჩუ! მრისხანეთა უბერავს ქარი,
ცას ბნელი ნისლი გადაეფარა!
მთის ნაკადულმაც გაიკაპასა
და ტყის სიღრმეში ხმა მიამკვდარა.
    ბოროტი მხეცი წამოიქინდრა,
    მთა-ბარს მოედო დასარბეველათ.
    ულრანი ტყე რომ მოინადირა,
    აწ გამოიჭრა მინდვრათ და ველათ.
არრა დასტოვა, არრა დაზოგა,
ყველაფერს გაჰკრა გესლ-მჭრელი კბილი,
გზა და ბილიკი სისხლითა მორწყო
და შეაცალა ძვალს ხორცი-რბილი.
    ძუძუთ ბალღები ობლათ დაჰყარა,
    ზოგან მშობელსა მოსტაცა შვილი,
    ძმა აატირა ძმისა დაკარგვით,
    სატრფო დასტოვა გულდაკოდილი.
ცოლი ცრემლსა ღვრის ქმრის დამკარგველი,
დედა გასძახის „ვაის“ და „ვუის“
ნისლს კი ღრუბელი ზედ ემატება,
ცა კვლავ მრისხანებს და ქარი ღმუის.
    ცავ, მოპირქუშდი! ზღვავ, აბობოქრდი!
    განრისხებითა დაჰბერე, ქარო!
    მეხად იქეცი, შურისძიებავ,
    და შეაძრწოლე მთელი სამყარო!..

**ნ. ზომლეთელი.**

---

## საახალწლო მილოცვები.

**აკაკის.**

ვხედავთ მოხუცდი მგოსანო
წვერი შეგექნა ჭაღარა,
სულ წარსულს ეალერსები
მყობადზე ფიქრობ აღარა.

**ი. გოგებაშვილს.**

20 წელია თქვენს წიგნებს
სწავლობენ ჩვენი ყრმანია
და ამ ხანს თქვენი არსება
სოფლად არ გაგიტანია.

**ანტ. ფურცელაძეს.**

ბოდიშს მოვითხოვ, ბ-ნო ანტონ,
რომ ეგრე რიგათ გეპამამები,
მაგრამ გთხოვთ მაინც გაგვაგებინოთ:
რა იქნა თქვენი გრძელი დრამები?

**შ. არაგვისპირელს.**

ეტიუდები გწყალობდენ
დრამამ კი დაგაღალატა,
ეგ თქვენი „შიო თავადი“
დანაწერია ძალათა.

**გ. გვაზავას.**

მგოსნობა და დამცველობა
ორივე გაქვთ საქებური.
მიკვირს, რატომ არ მიგიწვევსთ
თანამშრომლათ ,,ნიშადური?‘‘

**ვალ. გუნიას.**

შორიდან კაცს მაგონებდით,
გნახეთ ახლოს და... ცუდ კაცა
ზნეობიდან გარეცხილი
მრუდი, ფლიდი და ,,ბაცაცა‘‘

ეროვნული ბიბლიოთეკა

**სილოვან ხუნდაძეს**

„მკვლელის და მცველის“ ავტორო
ქართველთა „სიამაყეო“
უმჯობესია: დაბრძანდი
ფილთაქვით წყალი ნაყეო.
რუსეთსაც მოეპოება
თქვენგვარი „ღირსი“ შვილიო
დუბროვინ-პურიშკევიჩი
სინდისით გარეცხილიო
მუშტი და კრივი სკოლაში,
პრესაში ურცხვი კილოო
ადათათ გადაგქცევია
არ არის სათაკილოო.
„შინაგან მტერთა“ შემუსვრაც
დევიზათ დაგისახავსო
ქართველ „აქტიურ პარტიას*)“
შენი ბადალი არ ყავსო.
მშვიდობით, ფედერალისტთა
ბურჯო და ბუმბერაზოო,
ვეცდებით მომავლისათვის
სხვა განძი გითავაზოო.

**ი. ევდოშვილს.**

დიდსა გუდას რუმბი ჰქვიან,
პატარასა—ტიკჭორაო,
და „სამყაროს პოეტობა“
ნეტავ ვინ მოგიჭორაო.

**უჩინარიძეს.**

ამას ვინ წარმოიდგენდა
თქვენს თავში ასე ბნელოდა.
შე უბედურო, **სასწაულს**
ბებია ჩემიც ელოდა.

**რიშ ბაბას.**

ცხადათ ემჩნევა თქვენს აზრებს
მოშლილი მიმართულობა.
თარგმნეთ და თარგმნეთ ხალხისთვის
ძველი სპარსული თქმულობა.

**რიგოლეტოს.**

ტიკჭორა და პოეტობა
ერთმანეთს ვერ შეეწყობა,
და ჭკუის ძალ დატანება
ლექსსა შენსა დაეტყობა.

**„მონადირეს“.**

„მონადირე“ შეცდომაა...
უნდა იყოს „**მონადირო**“
რომ გამართლდეს შენი ქცევა
კაცთა შორის გასაკვირო.

---

*) Партія октивной борбы съ революціей

**წერა-კითხვის საზოგადოებას.**

ოცდა ექვს წელზე მეტია,
ყურს უგდებ ძილის ნანასა.
დღეიდან მაინც მოესწარ
უფრო ბედნიერ ხანასა.

**„ეშმაკის მათრახის“**
**კორესპონდენტებს.**

ამხანაგებო! სახესა
არ მისცეთ დაღრეჯილობა,
ოდეს იხილოთ წერილთა
მცირედი შეკრეჭილობა.

**„თაგუნას“.**

ვერ ხედავ კუდსა გწიწკნიან
„ნიშადურელი“ მღილები?
მოდი და ერთი იფრინე
ეს წუწკნი, ცოდვიშვილები.

**ეშმაკი.**

---

## გ ა ლ ო ც ვ ა.

—

—ქალო, გამიღე კარები,
მოგვიძღვის წმინდა ბასილი,
უხვების ხონჩა თან მოგვაქვს
იმისი მადლით აღვსილი.
—რა მოგაქვს? შემოეკითხა
ქალი სახლიდან გარეთა.
—ჩვენ მოგვაქვს „კონსტიტუცია“
სასირცხო შინ და გარეთა,
მოგვყავს დამსჯელი რაზმები
ასაოხრ-ასაკლებადა
შარშან რომ გაანიავა
სოფელს თუ რამე ებადა.
„ეგზეკუციაც“ თან მომაქვს,
პრისტავი სტრაჟნიკებითა,
(ყური გაქვს გამოჭედილი
„მათრახში“ მათი ქებითა.)
მომყავს ახალი „სტარშინა“
ტოლმაჩევისა ნაშობი,
ჩვენი წვერ-გძელა ხუცესი
დრამისთვის სისხლის გამშრობი.
მომყავს ხუთიოდ ჯაშუში
განაწრთობ-განასწავლები,
სხვას რაღას ელის არ ვიცი
ეგ შენი ხარბი თვალები?
—ვერ შემოგიშვებ იცოდე,
ეს ყველა უკვე გვქონია
იქნებ ახალი რამე გაქვს
ამათზე მოსაწონია.

ეროვნული ბიბლიოთეკა



### გალოცვა გურიაში.

—მაშ კარგი; მომაქვს შიმშილი
სიკვდილის ბნელი თვალითა,
მესამე დუმა, აღსავსე
უსირცხო, შავი ძალითა.
მომაქვს ხოლერის ბაცილა
და ჭირი ათას გვარები
ნუთუ არ კმარა? ნუ გვტანჯავ,
გაგვიღე სახლის კარები.
—კარს ვერ გაგიღებ რომ მომკლა,
აგი რა მოსაკვლევია
შიმშილი მუდამ გვტანჯავდა
ჭირიც არ გამოგვლევია.
—კიდევ ჯიუტობ დიაცო?
მომაქვს „კუდინის“ წვეთები
უმაგალითო წამალი
,,ეშმაკის‘‘ განაკეთები.
მომაქვს მისივე „მათრახი‘‘
ტარ-მოკლე, ბოლო მწარია
ახლა გამიღე კარები
ნუთუ არ გაგიხარია.
—შემოდით! კარი გაიღო...

—კი.

### მილოცვები

**ნ. ნიკოლაძეს.**

გასულ წელს არც თქვენ უმადლით:
დუმისთვის გაგახურაო,
სადეპუტატოთ ვანმზადილ
ფოთშივე დაგაბრუნაო.

**იონა მეუნარგიას.**

თქვენც ნიკოსავით გინდოდათ
დეპუტატობა, განაო?
კარგს არ უქს თქვენი ცრემლები
ვინც იქ არ გაგაგზავნაო.

**ვ. ხუნდაძეს.**

თქვენც ,,მამა‘‘ ხარ ოზურგეთის
მასზე , ზრუნავთ‘‘ დღე და ღამე...
ნაჩალნიკთან „შეტაკება“
გვიკვირს როგორ ითამამე.

**ი. ნაკაშიძეს.**

თქვენისთანა საქართველოს
აღარ არის ბევრიაო,
რადგან ჯერე უარაკოთ
არა დაგიწერიაო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

**„Baton“-ს**

ამერ იმერთ აღარ ესმით
თქვენი ყიჟინ-ყვილიო.
სიჩუმეა. (არ შეშინდეთ,
არ დაიწყოთ ტირილიო).

**გურიის ხულ. თავ. აზნაურებს**

მოძრაობა ხომ ჩააქრეს,
მოისვენეთ, მორჩითაო,
,,სტრაჟნიკობაც‘‘ ხომ მოგართვათ
ტოლმაჩევმა ხონჩითაო?!

**,,ვირი, ღორი, თხა და მამალი‘‘.**

(სოფელს რომ აშენებენ)

წარსულ წელში თქვენთვის იყო
სათარეშოთ გურიაო,
გატანა და მეგობრობა
მართლაც კი გაქვთ ძმურიაო
გუბერნიაც შემოიღეთ
ფრჩხილისისხო მაზრაშიო,
მარა მალე ჩაგივარდათ
ცხელი კოვზი ნაცარშიო.

გაზ. **„ისარს“.**

ბევრი ცრემლი ჩამოყარე
შარშან სამშობლოზედაო,
მზე და მთვარე ამოუდის
საქართველოს შენზედაო.
თუ დაიხსენ ის-შენ მხოლოთ,
ვერვინ დაგეცილებაო,
მარა ეს კი აღარ მომწონს
ომში რო გეძინებაო.

**,,ნიშადურს‘‘**

გასულ წელში დაიბადე
რეაქციის იარაო;
გარყვნილება ბევრი სთესე
სასარგებლო კი არაო...

ვ. მალაქიაშვილი.

—

**სოხუმს.**

უწინ გყავდა თავადა
უცხო ვინმე **ტომარა**
დღეს-კი ნიკო განაგებს
პროექტების ტომარა.

**ფოთს.**

ფოთო რიონის პირათა,
შე ნიკოლაძის დუმაო!
ქალაქათ მოსანათლავი
აღარ დაგირჩა ,,სუმაო‘‘?

**ფოთის ტირილი.**

ცუდი საქმე მომივიდა
საგლოვი და სატირალი
,,ფხა‘‘ მომტაცა ქუთაისმა
ასი თუმნის საღირალი.

**ფოთ. ახლან. ხმოსნებს.**

,,ბედაურები‘‘ გავიდენ
თქვენ დაგირჩათ მოედანი
ეს იმისგან უმთავრესათ,
რომ შუბლზე გაქვსთ სქელი კანი.

**ესაკიას.**

სახელი ჩემი მიხაკო.
გვარობნობა: ესაკია.
ესფერებს დავენაცვლები
გაწყდეს ყველა ესდეკია?

ჭანჭათელი.



# მარცხენა და მარჯვენა.

**პირველი დუმა.**

პირველი დუმა შემოკრბა
ნიღაბით კადეტოვანი,
მცირე საქმისა მოქმედი,
მაგრამ მჭექარე ხმოვანი.
მარჯვენა მხარე უსუსტებს
თითქმის შემხმარა სრულადა
მარცხენა გამოიყურებს

უფრორე გაბედულათა.
ცენტრი მაგრა სდგას წელ მსხვილი
ერთგგარი ლურჯი ფეროობით
და ატრიალებს ხელებსა
კადეტურ გაიძვერობით.

—

გარეკეს დუმა პირველი...
და საარჩევნო წესებსა
ჩვენი მაღალი სუნატი
,,განმარტავს'' შეაკეთებსა.

—



**მეორე დუმა.**

შევხედოთ, დუმა მეორე
პირველსაც წააცილებდა
და რეაქციას მარცხნიდან
ულრმესად გააფრთხილებდა.
შავ ხელთან შედარებითა
წითელი გაიზრდებოდა
და მათი შენამატები
კადეტებს დააკლდებოდა.

—

მეორე დუმაც გარეკეს
ხალხი კვლავ სდუმდა, ბნელოდა
,,განმარტებანი'' კანონებს
თითქმის არაფერს შველოდა,
და რეაქციამ ახალი
შეთხზა არჩევნის წესები
რქა ,,ზუბრის'' მისცა, წელი ღვდლის,
და პოლიციის ფეხები.



**მესამე დუმა.**

მესამე დუმაც შემოკრბა
ყვავ-ყორან-სვავებიანი
დიდძალი უმრავლესობა
„ზუბრისა“ თავებიანი.
მარცხენა ხელი აღარც სჩანს,
**შავ** ხელს კი ეთქმის ხელობა
თუმც მყრალი, მაგრამ ამისიც
„სიტყვები‘ არის ხელობა.

**ტოროლა.**

---

**მ ე ს ტ ვ ი რ უ ლ ი.**

(ბათუმისათვის)

ხელში მიჭირავს ქამანჩა,
სტვირი მორთული ლალითო,
ქარახსი ვერცხლით შემკული
და ხმა აქვს სამაგალითო.
დაუკარ ჩემო ქამანჩავ,
სტვირო მიმართე ხელიო,

დღეს მესტვირული მომინდა,
ამოიწმინდე ყელიო,
ბევრი რამ არის ბათუმში
საძრახი, საძულველიო;
აქ სათითაოთ ჩამოვთვლი
სულ მთლათ რომ გადაველიო:
ჩინოვნიკების ხრიკები,
მათრახი კავკაველიო,
გაუმაძღარი ვაჭრები,
შტიკები უძლეველიო,
ფულების ხარბი ექიმი,
ქორები ულეველიო
უმუშევართა სიმრავლე,
ღატაკნი ფეხშიშველიო,
„იზვოშჩიკების“ გინება—
იგივე ძველის ძველიო,
სამკურნალოში სნეული,
უვლელი უზრუნველიო,
ხუცები თავბედს იწყევლის,
დრამების დამკარგველიო;
მაბეზღარების ბუნაგში
კიდევ შემძვრალა გველიო,
დასწყევლოს მისმა ეშმაკმა
ეს ბილწი, საძაგელიო.
ზამთარშიც გაძევს, ბათუმო
შენ გაზაფხულის სახერ,
ბულვარდი ძლიერ გამშვენებს
საიავარდო, სახეო.
საქორიკანო ადგილი
და საარშიყო მახეო;
ფართეა შენი ბოლაზი,
თუ შეგრჩა, შეინახეო,
ბუნება შეზავებული—
საბოსტნე, სავენახეო
ქალი უსაქმო გასხია,
„ბარიშნა“—ენა მკვახეო,
ხშირი გყავს ულვაშ გრეხია
„ეშმაკის სამათრახეო“,—
ხარბი და აუტანელი,
ლაქლაქა მიტრაბახეო,—
მემუქრებიან, გუდასო,
ზედ თავზე გადაგახევო!
ამბობენ, ქალაქის თავი
რუსეთში გადავიდაო
ფულები ბლომათ ჩამოაქვს,
თუ კარგა ჩამოზიდაო.
ის ბათუმს ფოთს არ გაატანს,
თუ რამე გაუვიდაო;
ამბობს: რომ ფოთმა დამძლიოს,
თავობა აღარ მინდაო;
ეს ნიკოლაძემ მიხრიკა
და სული წაიწყმინდაო,
რომ ამიჩინა ულევი
საჩხიკინო და სადავო.
ბათუმი ფოთმა წაილოს!..
ეს საიდან და სადაო.
მოადგილეზე ამბობენ—
ნაზობსო, როგორც ქალიო,
მარა წყალივით იცისო
ქალაქის სამართალიო,—
ასწონს და ასჯერ გაზომავს
ფრთხილია, არა მხდალიო
და ნემსის ყურწში გაძვრება
ისე, ვერ მოჰკრა თვალიო.
ამ ჩვენ ივანე სეკრეტარს
საქმით არა ყავს ცალიო
ის, მხოლოთ, ფულებს არიდეთ,
ვით წამალს ცეცხლის ალიო.
ახალი „ჩლენი“ მოვიდა,
ახლა შემოდგა კვალიო,
შვიდი ათასი მანათი
უშოვა ქალაქს ვალიო,
(რიჟ გავიდოდა მდივანი,
სტყუოდა შვამავალიო)
უპრაველებზე არ ითქმის
არც ერთზე საყვედურია
ზოგს მოსწონს ჩვენი „მათრახი“
უმეტესს „ნიშადურია“
მოხერხებული კაცია
„უპრავას“ შინა მდგმურია
არ ვიცი, ნეტა რას იქმდა
ქალაქის უმადურია,
ბიჭია, რომ არ ყოლოდა
მუშა და სახედურია.
ხმოსნები არას ამბობენ,
დამუნჯებულან, მგონია,
ამათთან ძველი ხმოსნები
დუმილით მოსაგონია;
პირს არ აღებენ, თითქოსო
ყბა აქვთო ანაკონია
ეგების ხუთი გამოდგეს
ამათში მოსაწონია;
აღარ ჩანს ძველი ხმოსანი
თავადი ჭამა-წონია
თავ ჩაღუნული მიმჯდარა
კუთხეში იასონია,
გრიშა რომ სიტყვას ამბობდა
ჯერ არვის გაუგონია
სოსიკოს ასე აგდება
ყველასთვის დასაღონია
და მუსულმანთა ფრაქცია
ჯდომაზე მომაგონია.

ბლიკვაძე.

ეროვნული ბიბლიოთეკა




მღვდელთა კრება და პრესსის წარმომადგენლები.

### მღვდლების კრება.

ბნელეთის კრებას მივადექ
,,თავ-ფეხის'' საქმე წყდებოდა,
კარებში იდგა ,,მორჩილი''
თოფ-იარაღში სხდებოდა.
გულდაწყვეტილი დავბრუნდი
ვერ ვნახე მღვდელთა კრებული
პრესას გაურბის იმათი
უმრავლესობა, ქებული.
ან კი სად თქმულა ხუცების
აშკარა გამოჩინება?
მაშინ ხომ ბნელეთს საქვეყნოდ
ნათელი მოეფინება!!!

ჟ—

### ხუცების სიმღერა.

(მიბაძვა)

ვისაც რა უნდა, უყვარდეს.
სულ სხვაა ჩვენი ტრფიალი,
გვიყვარს საკურთხის გარშემო
საცეცხლურების ტრიალი.
თავი მოუკვდეს იმ ხუცესს,
ერიდოს მოტაცებასა
საწყალ კაცს ჯიბე არ მოსჭრას
თავი არ მისცეს შვებასა!

მტრედი ვარ სხვას არ მოვსტაცო?
ხომ გამითერდა პირი-მე?
გარს შემოვევლე ჩემ სამწყსოს
ვინც მოკვდეს მისი ჭირიმე.
რაც ჩემი ოფლით არ იყო
სახლში ის შემიტანია,
ღმერთმა მაშოროს ყოველი
რაც ოფლით გამიბანია.

რიჟა.

### მ ო მ ი ლ ო ც ნ ი ა!

(ამბავი)

— მოვხუცდი, დავჩაჩანაკდი, სამოცი წლის-წადია, რაც ამ ბედკრულ წუთის სოფელში დავჩანჩალებ, ყველაფერი გამომიცდია და მინახავს, ავიც და კარგიც, საერთო სიხარულიც და სიმწუხარეც, მაგრამ ის, რაც ამ ორი წლის წინათ ახალწელიწადს ვნახე, დღესაც თვალწინ მიდგას, თითქო გუშინ მოხდაო.

ასე დაიწყო მოხუცმა ზურაბმა, რომელთანაც ძლიერ მიყვარდა ბაასი. მისი თოვლივით თეთრი თმა და წვერი, სიყვარულით აღსავსე თვალები, მხიარული ღიმილი და გულის სიღრმიდან ამონახეთქი სიტყვები ისეთ შთაბეჭდილებას ახდენდა ჩემზე, რომ მზათ ვიყავი სულსა და გულში ჩავძრომოდი.

ზურაბი უცბათ გაჩუმდა, თვალები ერთ წერ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტილს მიაშტერა. თითქო გულის ძგერა შემიჩერდა, მეც სულ-განაბული მივჩერებოდი. მეშინოდა უნებლიეთ არ დამერღვია მოხუცის მყუდროება, თუმცა ციურ მანანასავით ველოდი როდის გახსნიდა ბაგეს. ბოლოს თითქო ფიქრებიდან გამოერკვაო, ზურაბმა თავი გაიქნია, მომიბრუნდა, ტკბილათ გამიღიმა და განაგრძო.

— მოგაწყინე მგონია. ოჰ! ფიქრები, ბიქრები! მართალია მოვხუცდი, ჭკუა გონება აღარ მიჭრის, მაგრამ ფიქრები მაინც მოსვენებას აღარ მაძლევენ. თქვენ ახალგაზდები ამბობთ, მოხუცებს ახალი დროის არაფერი ესმით, მეტი ბარგი არიან და ხელს გვიშლიანო. ეს შეცდომაა. ჰო, დავუბრუნდეთ ამბავს:

— ამ ორი წლის წინათ -- განაგრძო ზურამბა — ჩემდა საბედნიეროთ, თუ საუბედუროთ, სწორეთ ახალ წელიწადს ვეწვიე სტუმრათ უმცროს ძმას, რომელიც სამაზრო ქალაქში ცხოვრობდა. ის კარგა ხანია მოშორდა სოფელს, დაიწყო ვაჭრობა და მდიდრულად ცხოვრობდა. წინათ, როცა ჩვენ ვიყავით გამარჯვებული, სოფრომს, ასე ეძახდენ ჩემ ძმას, გვარიანი სახელი ქონდა ხალხში, ჯერ ხმოსნათ და მერე ქალაქის თავათაც კი აირჩიეს. როცა გვიცხუნეს და გაგვთელეს, ხმა გავარდა სოფრომა ,,გახულიგანდაო''. სწორე მოგახსენო მე არც კი ვიცოდი რას ნიშნავდა ეს გახულიგანება. მე მეგონა გაფირალდა მეთქი და გადავსწყვიტე ვსტუმრებოდი, რომ გამეგო რაში იყო საქმე. მეც ახალ-წელიწადი ავირჩიე და სწორეთ იმ დროს მივადექი კარებზე, როცა ის თავის სტუმრებით გრძელ სუფრას შემოჯდომოდა და კარგად გადაბრუცულნი ერთ ამბავში იყვენ. შევაღე კარები თუ არა, გაშტერებული გავჩერდი. განათებულ დარბაზში სუფრაზე რა ნაირი საჭმელ-სასმელი გინდა რომ არ ყოფილიყო. სტუმართაგანაც ვინ გინდა იქ რომ არ იყო. ბოქაული, ურიადნიკი, სტრაჟნიკი, ხუცესი და სხვა. შუაში ჩამჯდარიყო ჩემი ძმა, და სახე გაწითლებული დიდის ალტაცებით რაღაცას უამბობდა სტუმრებს. უცებ მივხვდი რას ნიშნავდა ,,ხულიგანი'', მინდოდა უკანვე გამოვბრუნებულიყავ შეუმჩნევლად, მაგრამ ძმამ თვალი მომკრა და მედიდურათ მომიბრუნდა:

— აა! ზურაბ! კარგია რომ მოდი, რომ გაგვიხსენე ამ ახალ წელიწადს. მოდი დაჯექი სუფრასთან.

ამ სიტყვებზე ყველამ ჩემსკენ მოიბრუნა პირი. რძალმა შორიდან თავი დამიკრა და ტუჩ აპრუწვით სკამზე მიმითითა.

— ზურაბ! ხომ ხედავ აქ ხელმწიფის სურათია, ქუდი უნდა მოიხადო! მომმართა ძმამ.

— გაუმარჯოს თვითმპყრობელობას! ძირს ბუნტოვჩიკები. უცბათ გაისმა საშინელი ღრიალი.

დამცხელა. კარგათ მივხვდი რა ხალხში ჩავარდი, მარა მეტი რა გზა მქონდა უნდა გამეძლო. მხოლოდ ეხლა შევნიშნე ძმის გულზე ჯვარ-მედლები და საშინლად გავვოცდი, ვიცოდი ის არსად ომში არ ყოფილა და ვერ გამეგო საიდან მიიღო ეს ჯილდო. მოვიხადე ქუდი.

— აბა ზურაბ! ყველაფერია და რაც გინდა მიირთვი. არ გცხვენია ამდენ ხანს რომ არ მნახე? შენც ხომ არ გასოციალისტდი?

ყველამ ჯრჯოხეთური ხითხითი დაიწყო.

-- თუ სოციალისტია და ჩვენ ხელში ჩამოვარდა კაი დღე კი დაადგება—სთქვა ბოქაულმა და გადიხარხარა. ისევ ასტყდა ჯოჯოხეთური ხითხითი.

— რა დროს ჩემი სოციალისტობაა სოფრომ, ცალი ფეხი სამარეში მიდგას—მოვახსენე.

— ეგ არაფერია. შენ იცი რამდენი მოხუცი სოციალისტი გავამგზავრეთ ცივი ქვეყნებისკენ? მოხუცებულობა რას დაგიშლის. მართლა გეხუმრები, თორემ სოციალისტი რომ იყო როგორც მტერს არ დაგინდობდი—მომიგო ძმამ.

— აბა, სოფრომ, განაგრძეთ თქვენი საინტერესო ამბავი—მიმართეს ძმას აქეთ-იქიდან.

-- ჰო, იმას ვამბობდი, საშინელი იყო, ბატონებო, მაშინ ჩემი მდგომარეობა, ვიტანჯებოდი, ვიწოდი უცეცხლოთ, მაგრამ რა მექნა. ძალა მათ ხელში იყო და მარტო მე რა უნდა მექნა. მთელი ჩემი სული და გულით მეფისა და სამშობლოს ერთგული ვიყავი, მაგრამ კრინტი რომ დამეძრა მაშინვე მომკლავდენ. მთელი მაზრა რევოლიუციონერებით სავსე იყო, ერთ კაცს ვერ ნახავდი ხელმწიფის ერთგულს. მეც რასაკვირველია. ყველასისე ვაჩვენებდი თავს, ვითომ მათი თანამოაზრე ვიყავი. რომ გენახათ წინათ ეს ჩემი სახლი ასე გეგონებოდათ ნამდვილი რევოლიუციონერების შტაბიაო. ვინ გინდა აქ რომ არ მოდიოდა. არავინ არც შემოსვლას კითხულობდა და არც გასვლას. ვიტანჯებოდი, მაგრამ დროს ვუცდიდი, იმედი მქონდა ბოლოს ჩვენ გავიმარჯვებდით და ყველა ჯავრს ერთათ ვიყრიდი. ერთ დღეს გამიწყრა ღმერთი, ვეღარ მოვითმინე და ერთი პატარა საქმე ჩუმათ მოვახსენე მაზრის უფროსს. მეგონა ვერაფერს გაიგებდენ, რადგან ძალიან მენდობოდენ. მარა ვაი თქვენ მტრებს, ხელათ გაიგეს და ახლაც ჟრუანტელი დამივლის რომ მომაგონდება რაც მე დღე დამაყენეს. არც მომკლეს და არც მაცოცხლეს. ხელათ გამართეს მიტინგი, შეყარეს დუნია ხალხი, წამომაყენეს მათ წინაშე და ყველა ჩემი საქმე წამოშილაგეს. ოფლში გავუწირე, მართალია დარწმუნებული ვიყავი კარგ საქმეს ჩავდიოდი, მაგრამ მაინც შემრცხვა. ყველამ თვალში მომაფურთხა, ჯაშუში მიწოდა. დამადებინეს ფიცი, რომ შემდეგში ისეთ საქმეს აღარ

ჩავიდენდი, მომახდევინეს ბოდიში და ასე თავლაფდასხმული გამაგდეს კრებიდან. გამომიცხადეს ბოიკოტი და ქირიანივით ყველა შორს გამირბოდა. გაჩნდა თუ არა დამსჯელი რაზმი, ჩვენმა უწინდელმა ბატონებმა იკადრეს გაქცევა, მე ფრთები ავისხი, ჩემს სიხარულს საზღვარი არა ქონდა. დიდი ხნის ბოღმა ნაღველი გულს მომაწვა და საშინელმა შურის ძიების სურვილმა შემიპყრო. ცოტა ხანში რაზმის უფროსის მარჯვენა ხელი შევიქენი და ერთი თვის განმავლობაში თითქმის ყველა მეთაურები გავკოჭეთ. თქვენ უნდა გენახათ ჩემი შურის ძიება. ყველა მათგანზე საშინელი შური ვიძიე, დამრჩა მხოლოდ ერთი, მაგრამ იმის დაჭერა არ იქნა. ვერაფერმა საშვალებამ ვერ გასჭრა მის წინააღმდეგ. დღეს გაჩნდებოდა ერთ სოფელში აბუნტებდა ხალხს, მივიდოდა ჯარი დაიმორჩილებდა, ახლა მეორე სოფელში გაჩნდებოდა. ბოლოს ვურჩიე რაზმის უფროსს გაეჩინა სოფელში ჯაშუშები. ჩემი რჩევა ჭკუაში დაუჯდა და სისრულეში მოიყვანა. ფული რას არ იზამს· გასჭრა ხერხმა. ერთ საღამოს გვაცნობეს, რომ ამეღამ გიორგი ამა და ამ სახლში იქნება და მზათ იყავითო. ხელათ გაგზავნეს რაზმი გამოცდილი აფიცრის მეთაურობით. რაზმი მივიდა დანიშნულ ადგილს. ჩუმათ სახლის ალყა შემოარტყეს და დაიჭირეს. აფიცრის ბრძანებით მას მაგრა გაუკრეს ხელები და გარეთ გამოათრიეს. თქვენ უნდა გენახათ ჩვენი სიხარული, როცა მეორე დღეს ჩამოიყვანეს გაბაწრული ის, რომელზეც შურის ძიება მთელ სიცოცხლეს მერჩივნა. ჩემ თვალ წინ ჯერ ძალზე სცემეს შემდეგ ამისა უფროსმა უბრძანა დაემწყვდიათ სატუსაღოში და სასტიკი თვალ-ყური ედევნებიათ. სამი თვის განმავლობაში თითქმის ყოველ დღე ვძღებოდი შურის ძიებით, მაგრამ ჩემი გაძღომა მაინც არ იქნა. ასე ვაწვალეთ სამი თვე, შემდეგ შევუკარით ხელები და გავამგზავრეთ ციმბირისკენ. მოვიდეს ეხლაც და იძიოს შური. იქ წასული ბევრი გვინახავს და მოსული კი ცოტა. — დაათავა სოფრომმა და სიამოვნებით გაიღიმა.

— ყოჩაღ! სოფრომ! ყოჩაღ! ბრავო! ბრავო! — გაუმარჯოს თვითმპყრობელობას, გაუმარჯოს შენისთანა ერთგულ კაცს! ურაა! ურაა! ურაა! — შეიქნა აქეთ იქიდან საშინელი ღრიალი.

ჯერ ძმის სიტყვებმა და შემდეგ ასეთმა საზარელმა ღრიალმა თავზარი დამცეს, გულს შემომეყარა სუნთქვა შემეხუთა.

„ისევ და ისევ ღვინითა“...
არიალალე თარიალალე...

საზარელათ აღრიალდა მთელი სუფრა.

— მოიილოცნია სოფრომ! უცბათ გაისმა მჭექარე ხმა. თითქო ჩიტს ალალი დაეცაო, ყველას ენა მუცელში ჩაუვარდა და კარებისკენ მიიხედეს. საშინელი სურათი წარმოგვიდგა. კარებში იდგა ხანჯალ ამოწვდილი გიორგი საშინლათ განრისხებული, თვალებიდან ცეცხლს ყრიდა. გაპრიალებული ხანჯალი მაგრათ ეჭირა ხელში. ჩვენ ხმის ამოღებაც ვეღარ მოვასწარით, ელვის უმალ ის ვეფხვივით გადმოხტა, რაც ძალა და ღონე ქონდა ჩასცა ძმას ტარამდე ხანჯალი შიგ გულში და უცბათ გაქრა სიბნელეში. ყველანი თითქო დავმუნჯდით, თავს რეტი დაგვესხა, გონს ვერ მოვსულიყავით, არ ვიცოდით სიზმარი იყო თუ ცხადი ყველა ეს როცა გონს მოვედი დავინახე მხოლოდ, რომ სასიკვდილოთ დაჭრილი ძმა საცოდავათ ფართხალებდა იატაკზე. დაათავა ზურაბმა და მწარეთ ამოიკვნესა.

**ირეთელი.**



## საახალწლო მისალოცი.

ლეჩხუმისათვის

სულსაც სწყურია, გულსაც ის უნდა,
ჩემო ეშმაკო, რომ მოგცე ხელი,
როგორც მეგობარს, ერთიც გაკოცო,
და მოგილოცო: „ახალი წელი“.
მაგრამ ის კი მწყინს, ამ ბედნიერ დღეს,
რომ ვერ დაგტკბები შენი მზერითა,
მე ობლათ მტოვებ და შენ აპირებ:
სამყაროს დაგლას ისევ ფრენითა!
რა გაეწყობა! რაკი არ რჩება,
მასე გადაჭრით მიგიწევს გული,
ქვეყნის დღევანდელ ბატონ-ბატონებს
მაშ მიულოცე და სასწაული!
არ დაივიწყო, ლ ე ჩ ხ უ მ ი ც ნახე
ოღონდ ამას გთხოვ მათრახს ნუ გაშლი,
და იმის ნაცვლათ მამა-პაპურათ
ხელს დაიჭირე „წითელი ვაშლი“!

**თათარხანს**

ჯერ მიუმკვლდიე მოხუც თათარხანს,
პატივი ეცი — ის სარდალია,
არ გაგიგვირდეს ფეხის საფხანათ
ოცი რომ ახლავს სვანის ქალია!

ეროვნული ბიბლიოთეკა

**ტარასის**

შემდეგ ეწვიე ბატონ ტარასის
ნაშრომ-ნაღვაწი ისიც დიდია,
ცდა ტყვილა მიდის, ვერავინ ართმევს,
მთელი ცაგერი ზურგზე ჰკიდია!

**მარშალს**

მესამე რიგში მარშალიც ვარგა,
აზნაურობას მიუძღვის წინა,
და ერთგულებას მათ ეფიცება
ვაჟკაცი მკილი ვინც მიუწვინა!

**ოთარს**

მეოთხეთ უნდა ოთარი ნახო,
თორემ არ ვარგა, გული დასწყდება,
სამჯელ „დაბრაკულხ“ უნდა იცოდე
დეპუტატობა მეოთხეთ ხვდება!

**ქელეშბეგს**

შემდეგ სხვა წრეში გადაიცვალე,
უცბათ მეექვსეთ ამოყავ თავი,
და ქელეშბეგის შესანდობარი
ყანწი დასცალე—სვი ღვინო შავი!

**მელიტონს**

თუ ცრემლ მოწოლილს ენადა შეგრჩეს,
მელიტონს უქე მამაცი მკლავი,
შამშეს მკვლელია და სასახელოთ
„საყვარელია იმისი თავი!“

**ბექირბის**

ბექირბიც ჩვენი მეგობარია,
და უნახავი არც ის გაუშვა,
განა არ გახსოვს მელიტონის მსხვერპლს
მზრუნველი ხელი რომ გადავა?!!

**ლევანს**

ლევანიც მეტათ კარგი ბიჭია,
მიზნის სწორება მან უკეთ იცის,
და გაახარე შენის მილოცვით
ხწორ უპოვარი დამცველი ფიცის!

**მურზაყანს**

ღირსი არ არი არც მურზაყანი,
სხვებს რომ ეწვიო და მას კი არა,
იმის კაცის, გულს ამდენ ხანს მებრძოლს,
ერთი არ უთქვამს: „აწი კი კმარა!“

**სამსონს**

ძველი მკლავაძე სამსონიც ნახე
მეტად უხვია, უყვარს სტუმარი,
ცოცხალს ის აბა ვით არ მოგილხენს
ძლივს გასაჭირით ვინც მოგვცა მკვდარი!

**კოწიას**

ბოლო „ვიზიტი“ კოწიას შეჰფერს
და რომ იახლო შენი ვალია,
ქელეშბეგს შემდეგ რომ ხუთი დარჩა
ჭირში და ლხინში მათი ცალია!

**ალექსის**

შემდეგი რიგი ალექსით იწყე,
მაგრამ იცოდე ვაშლის ნახვა სწყენს,
ვით ციხის მცველმა, მან კარგათ იცის,
რომ ხილი ესე ტყვეს კისერს ატკენს!

**ჭუჭას**

ჭუჭაც მონახე ალექსის სიძე,
ერთი სალამი მიეცი მასაც,
და თუ შეიძლო დაუახლოვდი
მის „უცხო პლანებს“ და გულის თქმასაც!

**ტიპ ს მეუღლეს**

ტიპის მეუღლე არ დაივიწყო
და შენის წვევით დაუტკბე გული,
მათრახის კუდი ჩამოაცალეს
და ვერც ბრძანდება დღეს „ბოქაული!“,

**მიხეილს**

აქედან გასწი, გადაიარე
და მიხეილის ნახე სამყოფი,
ერთი შეკითხე: „კაცი რომ თიბავს,
რათ უნდა ებას მას ფეხზე თოფი?!!

**ლადიკოა**

იქვე ახლოა ალექსანდრეს ძე
აბჯარ ასხმული კარგი ლადიკო,
და მიულოცე შვილსაც იმ გზით სვლა
სიცოცხლეში რომ მამა მდგარიყო!

**ირაკლის**

შენ გენაცვალე ირაკლიც ნახე
„ეს ნამარნევის მონასტრის ბერი“
მერცხლისებრ ბუდე რომ აიშენა,
განკითხვის დღისთვის მზათა აქვს ჭერი!

**გრამიტონს**

შემდეგ გრამიტონს მიუპყარ ყური
იქნებ კიდევ ყავს ვინმე მასხარა,
შარშან ამ დროს ხომ ერთი დაახრჩო
ძალით კისერში ღვინო ასხა რა!

**ერმილეს**

ბოლოს ესტუმრე თავადს ერმილეს,
სოფლის სანდო პირს, მის „ხეისთავს“
თუ რამე გექნეს მას მიაბარე
და რაჭისაკენ გაუძეხვ თავსა!

**ვიქტორს**

იქ გადაკოცნე დიდი ვიქტორი
და კირილესაც ემთხვიე გულზე,
შემდეგ მიბრძანდი საითაც გსურდეს
გზა მშვიდობისა უტკბესო სულზე!

**ალავერდი.** —



## სოხუმელების სიმღერა.

რკინის გზის სულის ჭირიმე,
მას ველით მოუთმენლათა,
მასზე ვოცნებობთ დღე და ღამ,
იმისთვის ვდნებით ცრემლათა.
ნიკო პეტერბურგს გავგზავნეთ
ჩვენ იმის მოსატანათა,
და თუ ვერაფერს ვერ გახდა,
თავი არ უნდა თავათა...
გასწი პეტერბურგს ნიკოჯან,
შენს იქ სვლას არ აქვს საზღვარი
ჩამოგვიტანე რკინის გზა,
და გაგვიმრავლე ქანქარი...
შენ გამოცდილი თავი ხარ,
ერთს დროს ოზურგეთს თაობდი,
და იქაც რკინის გზისათვის
პროექტებს თხზავდი, დაობდი.
ბევრი რამ გწადდა: რკინის გზა,
გიმნაზიების აგება,
ოზურგეთს ჩასადგმელათა
პეტერბურგისა აღება.
გიმტყუვნა, ძამო, იმედმა,
გიმტყუვნა ალმაფრენამა
და შენი ლოცვა-ვედრება
არ შეისმინა ზენამა.
მარა სახელი ხომ შეგრჩა
რკინის გზის მოტრფიალისა
და ბევრი სხვისა მსურველი
პროექტით სავსე თავისა?..
რკინის გზის სულის ჭირიმე,
რკინის გზას ვენაცვალებით,
ნიკო წერილებს გვიგზავნის,
გვახარებს კარგის ამბებით.
მაშ გასწი, ნიკო, პეტერბურგს,
შენს იქ სვლას არ აქვს საზღვარი
და მოგვიპოვე რკინის გზა,
მით გაგვიმრავლე ქანქარი.

კენტი.



## ს ა ა ხ ა ლ წ ლ ო.

მსურს მოგილოცო, ახალი წელი,
საკეთილ დღეო ჰქონოდეს კვალი;
შური და მტრობა ძირს არ გვითხრიდეს,
წარსულს გვიჯობდეს ის მომავალი.
ძარცვა და რბევა ქვეყნათ არ იყოს,
უკანონობით გამეფებული,
და ავაზაკათ არ ითვლებოდეს,
კაცი ხალხისთვის თავდადებული.
სიმართლის თქმისთვის არ ისჯებოდე,
მოგნიჭებოდეს მეტი უფლება,
და არ გიქადდეს დამნაშავის სკამს;
ტანჯულ ჩაგრულის გამოსარჩლება.
შენ საქმეს ნებით, შენ განაგებდე,
შენი ნაშრომის იყო ბატონი,
ღარიბს მდიდარიც აღარ სჩაგრავდეს,
სათანასწორო იყოს კანონი.
შენს საიდუმლოს ფულზე არ ჰყიდდეს,
სოფლის მოხელე და ჩინოსანი,
სახლის გამჩხრეკათ ნუ მომივლინოს
ჯარის კაცებში მერანოსანი.
საერთო სურვილს მიზნათ თან სდევდეს,
მტკიცე ერთობა და სიყვარული
რომ გამარჯვებულთ მკვდრებსაც ახარონ,
ხალხისა შვება და სიხარული.

ალექსანდრე კვაჭაძე.

## სამი დღე სამოთხეში.

ფრთები შევუწყვე ნიავ-ქარს,
გავკვეთე ცისა კამარა
და აველ ლაჟვარდოვანში
მარტო ოცნების ამარა.
მინდა გავსცურო მზის არე
სხივებს შევეხო მისასა
და მივაკლიო როგორმე
კარის ბჭეს ედემისასა.

ერთმა ქართველმა მწერალმა უკვე აუხსნა მკითხველებს, თუ როგორ გაჩნდა ქვეყნათ ,,ეშმაკი'', მიუხედავათ ამა წერილის სიმახინჯისა, მე მაინც მოკლეთ შევეხები აღნიშნულ ისტორიას.

თანასწორობა სხვაგან სად არის ქვეყანაზე, რომ ანგელოზთა შორის ყოფილიყო? აქაც, როგორც ყოველგვარ სამსახურში უფროს-უმცროსობა არის. და აი ერთმა ანგელოზმა პროტესტი გამოაცხადა ასეთი ვითარების შესახებ, ზოგიერთების თქმულებით მას ღმერთობა მოუნდომებია, წოლო სხვების სიტყვით უბრალო თანასწორობის დამყარება. რადგან აღნიშნული ანგელოზი მხოლობით რიცხვში დარჩა, სამოთხიდან გამოაგდეს.

დღეს განსაკუთრებულის სიამოვნებით მივაქანებდი ჩემს ფრთებს ედემისაკენ, რადგან ერთი ანგელოზის ყალბი პასპორტით შიგ შესვლის იმედი მქონდა და იქაური ამბების გაგება ხომ სასიამოვნოა და სასიამოვნო.

შავი ფრთა გავკარ მთვარესა,
მაგრამ ვერ იგრძნო გულცივმა,
შუბლი არ დაინაოჭა
სახე გამშრალმა მუდმივმა.
ჩავუნავარდე მარეხსაც
ქეჩოზე თოვლი ეფარა,
ფხიზელი არის ოხერი
ხმა არსით გამოეპარა.
სახეზე ღიმი გაიკრა
და გამიცინა გულითა
მე კვლავ გავცურდი სივრცეში
შავი ფრთით გალებულითა.

შემდეგ ჩავუსრიალდი კუდიან ვარსკვლავსაც და სწორეთ ღამის თერთმეტ საათზე 31 დეკემბერს სამოთხის კარებს მივადექი.

მთავარ ანგელოზი მიხეილი კარებს მიყრდნობოდა და ჩასძინებოდა. ცეცხლის ხმლის მაგივრად მხარზე ვინტოვკა ეკიდა და ჩექმებში შესანიშნავი აბრეშუმის მათრახი ჩაერჭო.

მათრახის დანახვაზე გულში ექსპროპრიაციის სურვილმა გამიხიცინა, მაგრამ მცველს უცებ გამოეღვიძა და დამიძახა:

— ვინა ხარ შავო?

— ანგელოზი გახლავარ, დედამიწიდან დავბრუნდი, წყნარათ მიუგე.

— ეგ ფრთები რამ გაგიშავა? განა ასეთი გამოდი ამ კარებიდან?

— არა ბ-ნო; ეს ჰიათურაში გიახელი, შავი ქვის ბრალია.

— მოიტა პასპორტი, რაღაც საეჭვოთ მეჩვენები. ნაბრძანები მაქვს ახკეცი ყურადღება მომსვლელთადმი.

მეც ავიღე და ჩემი პასპორტი გადავეცი. შიშმა ამიტანა; მიხეილმა აათვალიერ-ჩაათვალიერა მოწმობა, შემდეგ სინათლეზე გაუხედა, ამოფხეკილი არაფერი იყოსო და რაკი სეჭვო ვერაფერი ნახა დამიბრუნა

გამახსენდა ბოქაული კედია და უხმოდ ჩამეცინა. იმან იცოდა ასეთი ოინები და როგორ ვიფიქრებდი თუ აქაც ეს განმეორდებოდა. ანგელოზმა იწყინა ჩემი საქციელი, მრისხანეთ შემომხედა და მითხრა:

— შედი.

უცებ გაიღო კარები და თქვენი უმორჩილესი მონა სამოთხის მინდორზე მოექცა.

როგორც მოგეხსენებათ, ადამიანის თვალში ყოველივე საგანი ისე თავ-უკუღმა იხატება, როგორც ფედერალისტების თავში რაიმე მარტივი გინდ რთული აზრი. ადამიინი მალე ეჩვევა საგანი ისევნამდვილ მდგომარეობაში დაინახოს, თუმცა სამწუხაროდ იგივე არ ითქმის ფედერალისტებზე. სამოთხეში კი ადამიანის მხოლოდ სულია, რადგან ხორცი დედა-მიწაზე რჩება და ყველაფერი თავუკუღმა ჩანს. რამდენათაც უშნო და ულაზათოა ხორცი უსულოთ, იმდენათ მშვენიერია სული უხორცოთ

ჩემი მისვლის ამბავი მსწრაფლ გავარდა სამოთხის მთელს საქართველოს უბანში და უნდა გენახათ ჩემი აღტაცება, როდესაც ყოველ-მხრივ გაზეთებით გარშემორტყმული ერთ პატარა წყაროს პირად მწვანე მდელოზე დავბანაკდი. კითხვა კითხვაზე მოდიოდა სხაპა-სხუპით და ყველას დაკმაყოფილება მოუხერხებელი შეიქნა.

— ამხანაგებო, ერთი თავმჯდომარე ავირჩიოთ, თორემ დრო ტყვილა უბრალოდ დაგვეკარგება— დაიძახა გაზ. „სხივმა“.

— ავირჩიოთ, ავირჩიოთო, გაისმა ყოველ მხრივ და თითქმის ერთხმათ წინაალმდეგ „ცნობის ფურცლისა“, კრების უფროსად არჩეულ იქმნა „კვალი“.

— გმადლობთ ბ-ნებო, ასეთი პატივისცემისათვის, დაიწყო „კვალმა“. ჩემს დროს სიტყვა „ამხანაგი“ არ იყო ხმარებაში....

— აღარც ჩვენ დროს ხმარობდენ, დაიძახა გაზ. „დილამ“.

— გთხოვთ ნება დაურთველათ ნუ ილაპარაკებთ, დინჯათ წარმოსთქვა კვალმა და განაგრძო:

— დიახ, ეს სიტყვა ჩემთვის ახალია, და თუმცა მესმის მისი მნიშვნელობა, მაგრამ მე მაინც ჩემებურათ ვილაპარაკებ. გმადლობთ ბ-ნებო პატივისცემისათვის და გთხოვთ ჩაეწეროთ.

პირველათ სიტყვა გაზ. „სხივმა“ ითხოვა. შემდეგ მიჰყვენ სხვები.

**„სხივი“** ამხანაგებო! მე ბედნიერი ვარ თქვენთან ერთად დღევანდელი დღით. თავისი ნებით მოსული ჯერ აქ არავინ გვინახავს გარდა ამხ. ეშმაკისა. (მცველმა ანგელოზმა თვალები დააჭყიტა და ფრთები შეიჩეჩა). კარგათ მოგეხსენებათ ეს ჩვენი დროებითი სადგურია და „მეორეთ მოსვლის“ შემდეგ ისევ ქვეყნათ უნდა დავბრუნდეთ. საშიშარი იყო ჩემი უკანასკნელი დღეები! მე მოწამე ვიყავი 13 დეკემბრისა ნაძალადევში, ჩემი თვალით ვნახე 9 ვაჟკაცის განგმირული გვამი, მათი დასახიჩრებული სახეები! მოწამე ვიყავი 22 დეკემბრისა სალდათების ბაზარში. ჩემი თვალით ვიხილე ცეცხლიდან გამოღებული ადამიანთა დახრუკული და დანახშირებუ-

ლი გვამები; მოწამე ვიყავი 23 დეკემბრისა დიდუბის ბოლოზე, სადაც ზარბაზანთა გრიალი ჯოჯოხეთის ცეცხლს მოგაგონებდა. მოწამე ვიყავი ალი-ხანის ცეცხლისა და მახვილისა. პირველმა დამსჯელმა რაზმმა ჩემ თვალწინ გაიარა, ამხანაგებო, მაგრამ დედა-მიწაზე ცხოვრებას მაინც სხვა სიამოვნება აქვს. არ მინდოდა სიკვდილი, მაგრამ ჩემს არსებობასაც მალე მოელო ბოლო. ვსთხოვოთ ამხ. ეშმაკს (ანგელოზი კვალად შეწუხდა) გვიამბოს რა მოხდა ჩვენს შემდეგ და გვაცნობოს მალე იქნება თუ არა „მეორედ მოსვლა“.

წესრიგისათვის სიტყვა ითხოვა „ლახვარმა“. მიეცა.

**„ლახვარი“** ამხანაგებო! მე მგონია უმჯობესი იქნება თუ ჯერ თითოეული ჩვენგანი ილაპარაკებს. ყველა ჩვენგანს ახსოვს თავისი ცხოვრების რამე რუმე და როცა ჩვენ მოვრჩებით, შემდეგ ვილაპარაკოთ ჩვენი სტუმარი. ამასთანავე შეიძლება ამ დრომდე რომელიმე ამხანაგი კიდევ გადმოგვისახლოს აქეთ.

ლახვარის წინადადება ერთხმათ მიღებულ იქნა.

**„კვალი“**—სიტყვა ეკუთვნის ბ-ნ „ცნობის ფურცელს“

(შემდეგი იქნება)

**ეშმაკი.**



## მილოცვა გლეხებს.

### რაჭაში.

**ფარახეთლებს:**

მადლობა ღმერთს ცოცხალი ხართ,
მოესწარით ამ „ახალ-წელს“,
როს ძლივს ხედავთ შეჩერებულს
გმირი მიხას მეომარ ხელს!
დაავიწყოს ყოვლის შემძლე
აწიც იმას ხმალ-ხანჯალი,
და აკმაროს რაც რომ სცადა
სხვის კისერზე მკლავის ძალი!

**სადმელლებს:**

თქვენთვისაც მსურს მეგობრებო!
გღირსებოდეთ აზრი-გრძნობა,
უარ გეყოთ სამუდამოთ
მოსისხლე მტრის თანაგრძნობა!
სინდისი რათ შეიბღალეთ
სამარცხვინო დადგინებით,
რომ კირილე-ვიქტორს იცავთ
„სანდო კაცათ“ წარდგინებით!

**ხვანჭკარლებს:**

რაც თქვენ სახლ-კარს დღე დაადგა
მტრისგან შერთულ ცეცხლის ალში,
მოგცეთ ძალი, რომ მის მსგავსი
არ გეგემოთ მომავალში!

**ტოლელებს:**

მენატრება თქვენს ხანგრძლივ ძილს
ერთხელ მოუგევს გაღვიძება,
რომ გაიგოთ რასაც ნიშნავს
მონობა და მისი მცნება!

**გოგოლათლებს:**

გაკაწრული პეტრეს მკლავი,
განიკურნა, კარგათ არი,
და არა ერთს წაგადინა
ზურგზე ბოლი, ცხვირში ძმარი!
მაგრამ მაინც ნუ შედრკებით
გაუმარჯოს ამ „ახალ-წელს“,
ქედის მოხრით ვინ მისწვდება
თავის მიზანს და საწადელს?!!

### ლეჩხუმში.

**ჭრებალოს:**

ფეხ-მოჭრილი გიგო მეფობს,
მის ხელშია ძველი კლუბი,
ოცი ერთათ რომ გალახოს,
ვის არგია მასთან ჩხუბი?!!
ბალიტონიც არ ისვენებს
„ვიზიტობას“ დაეჩვია,
ახალგაზრდა ოფიცრებთან
მისებურათ გაეჩვია!
მაშ ჭრებალო, ვნატრობ შენთვის
მალე შვება გაგჩენოდეს,
და უგვანო ეს შვილები
დიდ ხანს აღარ შეგრჩენოდეს!

**გენდუშლებს:**

სალამს ვიძლევით ყველას გრძნობით
ახალგაზრდას და უხუცესს,
და თქვენ იცით თუ მოულხენთ,
არ მოაწყენთ ანტონ ხუცესს!
მადლობა ღმერთს კარგათ არი,
ხელს უწყობენ დრო და ხანი,
მაშ რა უჭირს ცხვრის „სათბილოს“
გაუზომოს სიგრძე-განი!

**ჩხუტელლებს:**

მომილოცავს მეგობრებო,
რომ კარგათ გყავთ თქვენი პუპა,
მადლობა ღმერთს დღეგრძელობა
რომ აფერმა გაუფუჭა!
აწიც უნდა მხნეთ დაიცვოთ
იქნეთ მისი ყარაული,
რომ მოყვარე-მოამაგეს
არ გაუტყდეს თქვენზე გული!

**გაისამდლეს.**

ეროვნული ბიბლიოთეკა




ახალი წელი!

**ახალი წელი!**

—

დღე მისდევს დღესა,
კვირე კვირესა
და აი, კვალად ახალი წელი!
გულ ღვარძლიანი
ბნელ აზრიანი
მიწაზე გდია მამა მშობელი!!

ახალ შობილსა,
პატარა შვილსა,
**ჩვენ** გავუკეთეთ შარავანდედი,
თორემ მამის კვალს,
და მის სამართალს
გზა აუქციოს არ გვაქვს იმედი.

№

რედაქტორ-გამომცემელი
თ. ბოლქვაძე.

ელექტრომბეჭდავი ამხ. „შრომა“, მიხეილის პროსპ. № 65.